თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 05

05 მარტი 2021 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 27 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილი თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	გიგა ორკოდაშვილი;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ნანა ხვისტანი;
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	ალექსანდრე შათირიშვილი;
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	ლევან კოჭლოშვილი;
საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	დავით გოგოშვილი;
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	დავით ღაღანიძე;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	ლევან ლილუაშვილი;
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე	მაია მარკოზაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარე	ტიტე დარეჯანიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე	გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარე **ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკი ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

საკრებულოს წევრები: ირაკლი სულხანიშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ლევან მრელაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებელობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს განუმარტა რიგგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ღარიბაშვილი
12.15სთ-დან - 12.25 სთ-მდე

აღნიშნული სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის 35 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს მიმართა თხოვნით წარმოდგენილ პროექტში კორექტირების თაობაზე, კერძოდ: საშუალო ზოგადი განათლების ხელშწყობის ღონისძიებების საქონელი და მომსახურების მუხლის გაზრდის თაობაზე და აღნიშნა, რომ სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, რაც შესაბამისად მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.კოჭლოშვილმა, ლ.მრელაშვილმა** აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად.

<u>დაადგინეს:</u> **მომხსენებლის მიერ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით** პროექტის დამტკიცებას (მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24 (ოცდაოთხი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 03(სამი)წევრმა **ა.ძულიაშვილმა, ა.კუპატაძემ, ა.მახარიაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ. ღარიბაშვილი
12.15სთ-დან - 12.25 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ტ.დარეჯანიშვილმა, ა.კუპატაძემ, ბ.ქოჩიშვილმა,**

ლ.კოჭლოშვილმა დასვა კითხვა - გარე განათების ქსელების მოსაწყობად საჭირო სამუშაოების და დასამონტაჟებელი ტრენაჟორების სახეობების შესახებ.

გ.მამუკელაშვილმა დასვა კითხვა - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის და სამუშაოების დაწყების სავარაუდო ვადებთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

ზ. მუსაევმა ისაუბრა სოფელ ყარაჯალაში მდინარე თურდოს ხეობაში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გასულ წელს განსახორციელებელი, გაბიონების მოწყობის დაასრულებელი პროექტის შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილი თხლაშიძე